Библиотека ИМЭЛ при ЦК ВКП

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

მთავრობის

დადგენილებათა და განკარგულებათა კრებული

1939 წ. თებერვლის 20 № 4 თბილისი

შინაარსი

სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

17. 1939 წ. სახელმწიფოსათვის რძისა და კარაქის სავალდებულო ჩაბარების შესახებ.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

18. საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებში მორიგეობის შემოღების შესახებ.

19. 1939 წ. ხბოებია, ბატკნების, გოჭებისა და კვიცების მოგების ნორმალურად ჩატარების ღონისძიებათა შესახებ.

20. იმ მეურნეობათა შეღავათების შესახებ, რომლებიც კოლხიდაში გადმოსახლდებიან.

21. სსრ კავშირის სახკომსაბჭოს მიერ „კოლმეურნეობებში აღრიცხვისა და ანგარიშწარმოების თაობაზე“ გამოცემული დადგენილების რეალიზაციის ღონისძიებების შესახებ.

22. საქართველოს სსრ-ში მასალით და მოწყობილობით მომარაგების წლიური და კვარტალური ბალანსების და ჭეგმების შედგენისა და დამტკიცების წესის თაობაზე გამოცემული ზოგიერთი დადგენილების გაუქმების შესახებ.

23. 1939 წ. წყალდიდობასთან და მის შედეგებთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ.

24. შრომის წიგნაკების შენახვისა და აღრიცხვისათვის კონტროლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

17. 1939 წ. სახელმწიფოსათვის რძისა და კარაქის სავალდებულო ჩაბარების შესახებ.

,,1939 წელს სახელმწიფოსათვის რძისა და კარაქის სავალდებულო ჩაბარების შესახებ'' გამოცემული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1939 წლის 21 იანვრის დადგენილების (სსრკ დადგ. კრ. 1939 წ. № 9, მუხ. 66) შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტი ადგენენ:

1. შენარჩუნებულ იქნას 1939 წელს კოლმეურნეობებისა, კოლმეურნეებისა და ერთპიროვნული მეურნეების მიერ სახელმწიფოსათვის რძისა და კარაქის სავალდებულო ჩაბარების 1938 წელს მომქმედი წესი, ვადები, ნორმები და შეღავათები.

2. დაევალოს აფხაზეთის და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებს და საქ. კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტებისა და რაიონულ კომიტეტების მდივნებს ხელმძღვანელობა გაუწიონ კოლმეურნეობებისა, საკოლმეურნეო კომლებისა და ერთპიროვნული მეურნეობებისათვის რძისა და კარაქის ვალდებულებათა ჩაბარების საქმეს და უზრუნველჰყონ 1939 წელს სახელმწიფოსათვის რძისა და კარაქის ჩაბარების ვალდებულებათა სწორად გადაცემა.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს	საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის
თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**	მდივანი **კ. ჩარკვიანი.**

1939 წ. თებერვლის 2. № 147.
თბილისი.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

18. საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებში მორიგეობის შემოღების შესახებ.

,,საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებში მორიგეობის დაწესების შესახებ'' (ოქმი № 18 მუხ. 44) გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წ. 27 ივლისის დადგენილების 1 მუხლის შესაცვლელად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1240353530

დაევალოს საქართველოს სსრ ყველა სახალხო კომისარსა და ცენტრალურ დაწესებულებათა ხელმძღვანელებს შემოიღონ პასუხისმგებელ მუშაკთა მორიგეობა სახალხო კომისარიატებსა და ცენტრალურ დაწესებულებებში ყოველდღე დღის 4 საათიდან ღამის 1 საათამდე, ხოლო გამოსასვლელ დღეებში დილის 10 საათიდან დღის 3 საათამდე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. **ი. შელეგია.**

1939 წ. თებერვლის 5. № 168.
თბილისი.

---

19. 1939 წ. ხბოების, ბატკნების, გოჭებისა და კვიცების მოგების ნორმალურად ჩატარების ღონისძიებათა შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღნიშნავს, რომ არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს მზადება 1939 წელს ხბოების, ბატკნების, გოჭებისა და კვიცების მოგების ჩატარებისათვის. მთელ რიგ რაიონებს (დუშეთის, ახალქალაქის, საგარეჯოს) ჯერ კიდევ არ მოუმზადებიათ კოლმეურნეობებში პირუტყვის სადგომები და არ გამოუყვიათ სამშობიარო განყოფილებები; პირუტყვის სადგომ ადგილებთან არ არის მიტანილი საკვები, არ არის დადგენილი პირუტყვის სადედე სულადობის პირველ რიგში ნოყიერი საკვებით გამოკვების წესი. ჭიანურდება გამოცდილ ბრიგადირთა გამოყოფა დოლის ჩასატარებლად ფარებზე მიმაგრების მიზნით. არ არის უზრუნველყოფილი სისტემატური ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობა ზოოვეტპერსონალის მხრივ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს აფხაზეთის და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს და ყველა რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტს ხუთი დღის ვადაში შეამოწმონ ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში, თუ რამდენად მომზადებულია ისინი ბატკნების, ხბოების, გოჭებისა და კვიცების მოგების ჩასატარებლად; მოისმინონ რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტების პრეზიდიუმზე და თვითოეული კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობის მიხედვით დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველჰყოფენ დედა-პირუტყვის გამრავლების ნორმალურად ჩატარებას და 1939 წ. ნამატის მთლიანად შენარჩუნებას.

ამ მიზნით:

ა) დაუყოვნებლივ გამოჰყონ სამშობიარო სადგომები, ჩაატარონ მათი გათბობა და არაუგვიანეს 1939 წ. 15 თებერვლისა დაამთავრონ პირუტყვის სად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გომების სავსებით მომზადება (გაწმენდა, დეზინფექცია, განათება, ვენტილიაცია და სხვა.);

ბ) დააწესონ საკვების რაციონალურად ხარჯვა და პირველრიგში სუსტი დედა-პირუტყვი გამოკვებონ ნოყიერი საკვებით;

გ) გადასინჯონ ბრიგადირების, მწყემსებისა და პირუტყვის მომვლელების შემადგენლობა, შესცვალონ ნაკლებად გამოცდილნი საუკეთესო კოლმეურნეებითა და მუშებით, მოგების პერიოდში მოაწყონ მოსამსახურე პერსონალის მორიგეობა მთელი დღეღამის განმავლობაში;

დ) ხუთი დღის ვადაში გაგზავნონ ცხვრის ფარის სამყოფელ ადგილებზე საზამთრო საძოვრებზე რაიონის პასუხისმგებელი მუშაკები და ზოოვეტპერსონალი და დასტოვონ ისინი იქ დოლის დამთავრებამდე.

2. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს:

ა) თვენახევრის ვადით მიავლინოს ჩრდილოკავკასიის საზამთრო საძოვრებზე ერთი ვეტერინარი ექიმი და ერთი ზოოტექნიკოსი;

ბ) ოცი დღის ვადით მიავლინოს არანაკლებ ათი ზოოტექნიკოსისა და ხუთი ვეტერინარი-ექიმისა რაიონებისათვის დახმარების გასაწევად—ბატკნების, ხბოების, გოჭებისა და კვიცების მოგების მომზადებისა და წარმატებით ჩატარების საქმეში;

გ) შეამოწმოს და უზრუნველჰყოს ყველა რაიონი და განსაკუთრებით საზამთრო საძოვრების ვეტერინალური პუნქტები (ყიზლარის, აზერბაიჯანის, ყალმუხეთის) საჭირო რაოდენობის მედიკამენტებითა და სადეზინფექციო საშუალებებით.

3. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს რწმუნებულს ამხ. ბედიაშვილს და დუშეთის რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარეს ამხ. როსტიაშვილს 1939 წ. 15 თებერვლამდე უზრუნველჰყონ თივის მიტანა დუშეთის რაიონის კოლმეურნეობათა ბინებთან, რომლებიც ყალმუხეთის ასსრ საძოვრებზე მდებარეობენ.

4. გაფრთხილებულ იქნან რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტების თავმჯდომარეები, მიწადმოქმედების რაიონულ განყოფილებათა გამგეები და საბჭოთა მეურნეობების დირექტორები, რომ უხეში და კონცენტრირებული საკვებით პირუტყვის არასაკმაოდ უზრუნველჰყოფისა და საძოვრების ერთგვარი გადატვირთვის პირობებში აუცილებელია განსაკუთრებული ყურადღება და ყველა საჭირო ზომების მიღება რაიონების, საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებისა კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების მხრივ, რათა უზრუნველყოფილ იქნას 1939 წლის ნამრავლის მიღების ნორმალურად ჩატარება და მთელი მოზარდეულის შენარჩუნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმდინარე წლის ნამრავლის მიღების წარმატებით ჩასატარებლად ყველა საჭირო ღონისძიების გაუტარებლობისათვის პერსონალურად პასუხს აგებენ რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტების თავმჯდომარეები და საბჭოთა მეურნეობების დირექტორები.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. **ი. შელეგია.**

1939 წ. თებერვლის 9. № 200.
თბილისი.

---

20. იმ მეურნეობათა შეღავათების შესახებ, რომლებიც კოლხიდაში გადმოსახლდებიან.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1939 წ. 29 იანვრის № ეს-407-31 ებართვის შესაბამისად გავრცელდეს 1938 წლიდან იმ მეურნეობებზე, რომლებიც კოლხიდაში გადმოსახლდებიან სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წ. 17 ნოემბერს „სასოფლო სამეურნეო გადმოსახლების შეღავათების შესახებ" გამოცემული დადგენილებით (სსრკ კან. კრ. 1937 წ. № 73 მუხ. 352) გათვალისწინებული შემდეგი შეღავათები:

1. მიეცეს ჯგუფური წესით გადმოსახლებულთ სახელმწიფოს ხარჯზე უფლება უფასოდ გამგზავრებისა, პირუტყვისა და თვითოეულ ოჯახზე ორ ტონამდე ქონების უფასოდ გადაზიდვისა აგრეთვე კვება და სამედიცინო მომსახურეობა გამოსვლის ადგილიდან დასახლების ადგილამდე.

2. ნება დაერთოს ყველა გადმოსახლებულთ ჩააბარონ თავისი პური, მარცვლეული ალაფი და კარტოფილი „ზაგოტზერნოს" ჩასაყრელ პუნქტებს გამოსვლის ადგილებში, ხოლო „ზაგოტზერნოს" დაევალოს მისცეს გადმოსახლებულთ სახელობითი ქვითრებისა და საგადმოსახლებლო ბილეთების წარდგენისას იმავე ღირებულების მარცვლეულის პროდუქტები და კარტოფილი დასახლების რაიონებში.

3. დაევალოს სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში:

ა) მისცეს გადმოსახლებულთ სასურსათო სესხი, საჭიროების მიხედვით სამ ცენტნერამდე პური თვითოეულ ოჯახზე რაც დაფარული უნდა იქნას ნატურით ორი წლის განმავლობაში დღიდან მიცემისა.

ბ) მისცეს გადმოსახლებულთა ახლად ჩამოყალიბებულ კოლმეურნეობებს სათესლე სესხი, თესვის გეგმების თანახმად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. იმ შემთხვევაში როდესაც დასახლების ადგილების კოლმეურნეობებსა და სასოფლო საბჭოებს არ გააჩნიათ თავისუფალი შენობები, გადმოსახლებულთ მიეცემა ფულადი დახმარება ახალი სახლებისა და საეზოვე ნაგებობათა მშენებლობისათვის გრძელვადიანი კრედიტის სახით რვა წლის ვადით, რაც უნდა დაიფაროს თანაბარ ნაწილად მესამე წლიდან დაწყებული.

5. ახალი და შეკეთებული სახლები და საეზოვე ნაგებობანი გადაეცემა გადმოსახლებულთ უფასო სარგებლობაში, ამასთან მათ არა აქვთ მათი გაყიდვისა და იჯარით გაცემის უფლება ვიდრე სესხს მთლიანად არ დაფარავენ. გადმოსახლებული ვალდებულია თავის დროზე დააზღვევოს სახლი და აწარმოოს მისი სათანადო რემონტი.

გადმოსახლებულის კოლმეურნეობაში განუწვეტელი მუშაობის ხუთი წლის გასვლის შემდეგ მის სარგებლობაში მყოფი სახლი და საეზოვე ნაგებობანი გადადის გადმოსახლებულის პირად საკუთრებაში.

6. დაევალოს სსრ კავშირის სასოფლო სამეურნეო ბანკის საქართველოს კანტორას მისცეს გადმოსახლებულთა უძროხო ოჯახებს ძროხების შესაძენად გრძელვადიანი კრედიტი ხუთი წლის ვადით იმ პირობით, რომ ამ კრედიტის დაფარვა დაიწყოს მიღების მეორე წლიდან.

მიღებულ იქნას სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე გადმოსახლებულ წითელარმიელთა ოჯახებისათვის შეძენილ ძროხების ღირებულების 50%.

7. დაევალოს სსრ კავშირის სასოფლო-სამეურნეო ბანკის საქართველოს კანტორას გრძელვადიანი კრედიტის წესით სამი წლის ვადით მისცეს ყოველ გადმოსახლებულ ოჯახს მისი დასახლების ადგილზე სამეურნეო მოწყობისათვის სამასი მანეთი.

8. სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე მიღებულ იქნას გადმოსახლების ორგანიზაციის მთელი ხარჯები (გადმოსახლების პუნქტების შენახვა შეკრება და სხვ. ხარჯები რომელიც დაკავშირებულია გადმოსახლების ორგანიზაციასთან).

9. დაევალოს სსრ კავშირის სასოფლო-სამეურნეო ბანკის საქართველოს კანტორას მისცეს დასახლების ადგილების კოლმეურნეობებს გრძელვადიანი კრედიტი:

ა) საწარმოო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნაგებობათა ასაშენებლად, ვადით ათ წლამდე;

ბ) საკოლმეურნეო მეცხოველეობის ფერმებისათვის მუშა და პროდუქტიული პირუტყვის შესაძენად—5 წლის ვადით;

გ) გზების გასაყვანად, ხიდების ასაგებად, გადასასვლელების, ჯებირების მოსაწყობად, ჭების ამოსათხრელად იმ ნაწილში, რომელშიაც ამ სამუშაოთა შესრულება არა აქვს დაკისრებული სამიწათმოქმედო და საგადასახლებო ორგანოებს—ვადით ათ წლამდე.

10. კოლმეურნეობანი დასახლების ადგილებზე მოვალენი არიან:

ა) მიღებული სესხები გამოიყენონ მარტოოდენ პირდაპირ დანიშნულებისამებრ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) მას შემდეგ, რაც სესხის დავალიანება ცალკეულ გადმოსახლებულ კოლმეურნეებზე იქნება გადატანილი, თვალყური ადევნონ გადმოსახლებულ კოლმეურნეებისათვის გადაცემული ქონების მთლიანად შენახვას და სწორად გამოყენებას;

გ) თავის დროზე მიიღონ ზომები რათა გადმოსახლებულმა კოლმეურნეებმა დაწესებულ ვადებში დაჰფარონ მათ მიერ მიღებული სესხი.

11. იმ შემთვევაში, თუ გადმოსახლებული წავიდა დასახლების კოლმეურნეობიდან, მას საერთო საფუძველზე უნდა გადახდეს სესხი, რომელიც მიეცა სამეურნეო მოსაწყობად, პირუტყვის, თესლის, სასურსათო ფურაჟის შესაძენად, სახლებისა და საეზოე ნაგებობათა რემონტისა და მშენებლობისათვის, გარდა სესხის განაღდებული თანხისა და დარჩენილი ქონების ღირებულებისა.

კოლმეურნეობანი მოვალენი არიან შეინახონ გადმოსახლებულთა მიერ დატოვებული ქონება და მიზანშეწონილად გამოიყენონ იგი როგორც კოლმეურნეობის საჭიროებისათვის, ისე ახლად დასახლებულ გადმოსახლებულთათვის გადასაცემად, ამასთან დაუფარავი სესხი გადაიტანონ კოლმეურნეობაზე ან ახლად გადმოსახლებულებზე გადაცემული ქონების ღირებულების ფარგლებში.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. **ი. შელეგია.**

1939 წ. თებერვლის 9. № 207.
თბილისი.

---

21. სსრ კავშირის სახკომსაბჭოს მიერ „კოლმეურნეობებში აღრიცხვისა და ანგარიშწარმოების თაობაზე" გამოცემული დადგენილების რეალიზაციის ღონისძიებების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარს ამხ. ხოშტარიას 1939 წ. 25 თებერვლისათვის დაამთავროს იმ კოლმეურნეობათა სიის განხილვა და დამტკიცება, რომლებიც აღრიცხვას აწარმოებენ ორმაგი, მარტივი და შეკვეცილი ანგარიშწარმოების სისტემის მიხედვით, თანახმად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1939 წ. 31 იანვარს გამოცემულ დადგენილებისა „კოლმეურნეობაში აღრიცხვისა და ანგარიშწარმოების შესახებ" (სსრკ დადგ. კრ. 1939 წ. № 11, მუხ. 74).

2. დაევალოს საკავშირო გაერთიანება „სოიუზორგუჩოტის" საქართველოს განყოფილების დირექტორს ამხ. დოლიძეს 1939 წ. 25 თებერვლამდე დაამთავროს აღრიცხვისა და ანგარიშგების 1939 წლისათვის საჭირო ფორმების დაგზავნა კოლმეურნეობებისათვის.

3. წინადადება მიეცეს ავტონომიური რესპუბლიკების სახალხო კომისარიათა საბჭოებს სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს და ყველა რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტს შეამოწმონ დაამთავრეს თუ არა კოლმეურნეობებმა ხელმოწერა საკოლმეურნეო ანგარიშწარმოების ფორმების დაბეჭდვაზე და გადაურიცხეს თუ არა ამ ფორმების ღირებულება საკავშირო გაერთიანება „სოიუზორგუჩოტის" საქართველოს განყოფილებას; იმ შემთხვევაში, თუ გამოვლინებულ იქნა ისეთი კოლმეურნეობანი, რომლებსაც არ შეუკვეთიათ ფორმების დაბეჭდვა, დაუყოვნებლივ მოაწყონ ხელმოწერა და ფორმების ღირებულების გადარიცხვა საკავშირო გაერთიანება „სოიუზორგუჩოტის" საქართველოს განყოფილებისათვის.

4. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და საკავშირო გაერთიანება „სოიუზორგუჩოტის" საქართველოს განყოფილებას ერთი დეკადის ვადაში უზრუნველჰყონ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1939 წლის 31 იანვარს „კოლმეურნეობაში აღრიცხვისა და ანგარიშწარმოების შესახებ" გამოცემული დადგენილებით დამტკიცებული ორმაგი სისტემით საკოლმეურნეო ანგარიშ წარმოების მთავარი და დამხმარე ანგარიშთა ნუსხის დაბეჭდვა და მისი გაგზავნა იმ კოლმეურნეობებისათვის, რომლებიც ანგარიშწარმოებას ორმაგი სისტემით აწარმოებენ.

5. დაევალოს მიწათმოქმედების რაიონულ განყოფილებების გამგეებს და სამანქანო სატრაქტორო სადგურების დირექტორებს 1939 წ. 10 მარტამდე ჩაატარონ კოლმეურნეობათა მოანგარიშეებისა და ბუხჰალტრების რაიონული საინსტრუქციო თათბირები იმისათვის, რათა დეტალურად გააცნონ მათ წესი ანგარიშწარმოებისა სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1939 წლის 31 იანვარს დამტკიცებული ფორმების მიხედვით.

საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა უზრუნველჰყოს ხელმძღვანელობის გაწევა ამ თათბირების ჩატარებისათვის.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. **ი. შელეგია.**

1939 წ, თებერვლის 9. № 211.
თბილისი.

---

22. საქართველოს სსრ-ში მასალით და მოწყობილობით მომარაგების წლიური და კვარტალური ბალანსების და გეგმების შედგენისა და დამტკიცების წესის თაობაზე გამოცემული ზოგიერთი დადგენილების გაუქმების შესახებ.

„მასალებით, მოწყობილობითა და სათბობით რესპუბლიკური და ადგილობრივი ქვემდებარეობის უწყებათა და ორგანიზაციათა მომარაგების წლიური და

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკვარტალო განაცხადებისა და გეგმების შედგენის წესის შესახებ" გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წ. 28 დეკემბრის დადგენილებასთან (საქ. სსრ დადგ. კრ. 1938 წ. № 10, მუხ. 56) დაკავშირებით საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

1. მოქმედება საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ამიერკავკასიის სფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წლის 2 იანვრის დადგენილებისა „მასალებისა და მოწყობილობის განაწილების მატერიალური ბალანსების და გეგმების შედგენისა და დამტკიცების წესის შესახებ" (ა-კ. სფსრ კან. კრ. 1935 წ. № 1, მუხ. 3).

2. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წლის 22 თებერვლის დადგენილება „საქართველოს სსრ-ში მასალით და მოწყობილობით მომარაგების წლიური და კვარტალური ბალანსების და გეგმების შედგენისა და დამტკიცების წესის შესახებ" (საქ. სსრ კან. კრ. 1935 წ. № 10, მუხ. 51).

3. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წლის 10 იანვრის დადგენილება მატერიალური ბალანსებისა და მასალა მოწყობილობის განაწილების გეგმების შედგენის წესის შესახებ" (საქ. სსრ კან. კრ. 1935 წ. № 14, მუხლი 71).

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. **ი. შელეგია.**

1939 წ. თებერვლის 16. № 247.
თბილისი.

---

23. 1939 წ. წყალდიდობასთან და მის შედეგებთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ.

1939 წელს წყალდიდობასთან ბრძოლის ორგანიზაციის მიზნით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. შეიქმნას საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან წყალდიდობასთან მებრძოლი კომისია შემდეგი შემადგენლობით: საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ამხ. ა. ნ. რაფავა (კომისიის თავმჯდომარე), საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარი ამხ. ს. გ. ხოშტარია, საქართველოს სსრ მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსი ამხ. ს. ზ. ზერეკიძე, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის გზატკეცილების გრუნტის გზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს უფროსი, ამხ. ნ. ვ. ქავთარაძე და ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს უფროსის მოადგილე ამხ. გ. ს. კიკნაძე.

2. დაეკისროს აღნიშნულ კომისიას ყველა იმ უწყების, დაწესებულებისა და ორგანიზაციის მოქმედებათა კოორდინირება, რომლებიც დაინტერესებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

არიან წყალდიდობასთან და მის შედეგებთან ბრძოლით; წყალდიდობასთან და მის შედეგებთან ბრძოლის ხელმძღვანელობა; ყველა იმ ღონისძიების განხორციელების ხელმძღვანელობა, რომლებიც უზრუნველჰყოფენ წყალდიდობასთან ბრძოლის დროულად მომზადებასა და გატარებას; ნაპირების გამაგრების და დასაცავ სამუშაოთა, აგრეთვე ნაპირების გასამაგრებელ არსებულ ნაგებობათა და ახლად მოწყობილ ნაგებობათა დაცვის სამუშაოების დროულად შესრულების უზრუნველყოფა.

3. დამტკიცდეს წყალდიდობასთან ბრძოლის სამუშაოთა წარმოდგენილი გეგმა.

4. წინადადება მიეცეს იმ რაიონების რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებსა და საქალაქო საბჭოებს, რომლებსაც წყალდიდობა ემუქრებათ, შექმნან წყალდიდობასთან მებრძოლი კომისიები რაიონული აღმასრულებლი კომიტეტის ან საქალაქო საბჭოს თავმჯდომარის (კომისიის თავმჯდომარე), შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის რაიონული განყოფილების უფროსისა და რაიონულ წყალთა მეურნეობის უფროსის შემადგენლობით.

5. წინადადება მიეცეს ყველა ორგანიზაციას, რომელიც ხე-ტყის დაცურებას ეწევა, მიიღოს ზომები წყალდიდობისაგან მფარველ ნაგებობათა დასაცავად, ამასთან გაფრთხილებულ იქნან ისინი, რომ სათანადო ზომების მიუღებლობის შემთხვევაში მათ პასუხისმგებლობა ეკისრებათ ხე-ტყის დაცურების გამო მიყენებული ზარალისათვის.

6. წინადადება მიეცეს ყველა სახელმწიფო დაწესებულებასა და საწარმოს, რომელთა ქონებასაც წყალდიდობა ემუქრება, წყალდიდობასთან და მის შედეგებთან ბრძოლა აწარმოონ ისე, რომ მუშაობის გეგმა შეუთანხმონ წყალდიდობასთან მებრძოლ კომისიას, ამასთან გაითვალისწინონ თავის ხარჯთაღრიცხვებში საჭირო სახსრები წყალდიდობასთან ბრძოლის ღონისძიებათა ჩასატარებლად.

7. წინადადება მიეცეს რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებს უზრუნველჰყონ ცენტრალური და ადგილობრივი კომისიების მოთხოვნით მოსახლეობის შრომითი მონაწილეობა წყალდიდობასთან ბრძოლის სამუშაოებში მუშა-ხელითა და ტრანსპორტით იმ წესით, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. 13 მაისის დადგენილებით „სტიქიურ უბედურებასთან ბრძოლისთვის შრომის ბეგარის დაწესების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. № 16, მუხ. 127; 1933 წ. № 12, მუხ. 166; 1934 წ. № 1, მუხ. 28; 1935 წ. № 14, მუხ. 79;).

8. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს, მთავარ საკურორტო სამმართველოს, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატს, რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებს ნება დართონ წყალდიდობასთან მებრძოლ კომისიას უსასყიდლოდ მოსჭრას საჭირო რაოდენობის ხე-ტყე წყალდიდობასთან ბრძოლის ღონისძიებათა ჩასატარებლად.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. **ი. შელეგია.**

1939 წ. თებერვლის 16. № 248.
თბილისი.

24. შრომის წიგნაკების შენახვისა და აღრიცხვისათვის კონტროლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ.

შრომის დისციპლინის განმტკიცების შესახებ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს დადგენილებისა და საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატის, საავიაციო მრეწველობის სახალხო კომისარიატისა და სათბობი მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხაზით შრომის წიგნაკების შემოღების შესახებ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე გამოცემული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1939 წ. 3 თებერვალს № 1 დადგენილების შესაბამისად საქმრთველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახალხო კომისრებსა და ცენტრალურ დაწესებულებათა ხელმძღვანელებს მნიშვნელოვნად გააძლიერონ კონტროლი თავიანთ სისტემებში სსრ კავშირის სახკომსაბჭოს, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს მიერ შრომის დისციპლინის განმტკიცების შესახებ მიღებული დადგენილების ცხოვრებაში გატარებისათვის, კერძოდ, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ იმას, რომ ცხოვრებაში გატარდეს იმ პირთა გამოსახლება საწარმოების (დაწესებულებების) სახლებიდან, რომლებიც დათხოვნილი არიან შრომის დისციპლინის დარღვევისათვის.

2. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველობასთან შეიქმნას შრომის წიგნაკების აღრიცხვისა და გაცემის ჯგუფი ორი საშტატო ერთეულის შემადგენლობით.

შრომის წიგნაკების აღრიცხვისა და გაცემის ჯგუფის ხელმძღვანელად დაინიშნოს ამხ. ოსინსკი.

3. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისრებსა და ცენტრალურ დაწესებულებათა ხელმძღვანელებს შრომის წიგნაკების აღრიცხვისა და გაცემის საქმე დააკისრონ კადრების განყოფილებათა გამგეებს, ხოლო სადაც ასეთი თანამდებობა არ არსებობს,—საქმეთა მმართველებს.

4. დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ დაწესებულებათა და საწარმოთა ხელმძღვანელები მოვალენი არიან თავიანთი ხელმოწერით შეადგინონ აქტები შრომის ყველა წიგნაკზე, რაც შევსების დროს გაფუჭებული იქნება. რის შემდეგ გაფუჭებული წიგნაკები უნდა მოისპოს, ხოლო გაფუჭებულ წიგნაკებზე შედგენილი აქტი ანგარიშთან ერთად უნდა გაეგზავნოს საქართველოს სსრ სათანადო სახალხო კომისარიატს ან ცენტრალურ დაწესებულებას, რომლებიც მოვალენი არიან შეინახონ იგი როგორც გასამართლებელი დოკუმენტი. გაფუჭებული წიგნაკების ღირებულებას აანაზღაურებენ სათანადო საწარმოები და დაწესებულებანი.

5. შეუვსებლად დარჩენილი შრომის ყველა წიგნაკი ინახება საწარმოებსა და დაწესებულებებში, რომელთა ხელმძღვანელებიც ვალდებული არიან თვეში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორჯერ წარუდგინონ სათანადო სახალხო კომისარიატს და ცენტრალურ დაწესებულებას ანგარიში შრომის წიგნაკების გახარჯვის შესახებ.

საკავშირო რესპუბლიკური სახალხო კომისარიატები და ცენტრალური დაწესებულებანი თავის მხრივ ანგარიშებს უდგენენ თავიანთ ცენტრებს.

საქართველოს სს რესპუბლიკური სახალხო კომისარიატები და ცენტრალური დაწესებულებანი ანგარიშს უდგენენ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თვეში ორჯერ.

6. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ამხ. სტურუას შეამოწმოს საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებისა და ცენტრალურ დაწესებულებათა (პირველ რიგში განათლების სახალხო კომისარიატის, ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის და კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის აგრეთვე 10—15 რაიონული აღმასრულებელი კომიტეტის) მუშაობა შრომის წიგნაკების გაცემის ხაზით იმ ანგარიშით, რომ შემოწმება დამთავრდეს არაუგვიანეს 1939 წლის 1 მარტისა და შემოწმების შედეგები მოსმენილ იქნას საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 4 მარტის სხდომაზე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. **ი. შელეგია.**

1939 წ. თებერვლის 16. № 250.
თბილისი,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Г 33,35
С ИЖЭЛ
1 12 СБ ГР 3

Тбилисский филиал
Библиотека
Имэл при ЦК КПГ (б)

გამომცემელი: საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო

უნდა ჩაბარდეს პირველ რიგში
ხელწერილის ქვეშ

მ ი ს ა მ ა რ თ ი ს ა თ ვ ი ს

ფასი 40 კაპ.

საქ. სსრ სახკომსაბჭოს გამომცემლობის სტამბა „კომუნისტი“, კამოს ქ. 68.

მთავლ. № 2345 შეკვ. № 426 ტირაჟი 2000